პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 121 (13242) | სამშაბათი, 25 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 23 მაისს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ანტალ ასპრო და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბელა ბისკუ.

კიევის ვაგზალში უნგრელ სტუმრებს მეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და სხვები. (საკდესი).

მწერალ მ. ა. შოლოხოვის დაჯილდოება ლენინის ორდენით

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თავლსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი მ. ა. შოლოხოვი დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

ლენინური პრემიის გადაცემა

მოსკოვი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს, კრემლში, სვეროდლოვის დარბაზში, ესპანელ პოეტს რაფაელ ალბერტის საზეიმო ვითარებაში გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის".

ლაურეატს ჯილდო გადასცა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა.

ჩვენს დიად სამშობლოში

სოლიდარობა და მხარდაჭერა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჰაინგ ტინმა დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებს ა. ვ. სპირიდონოვსა და ი. ვ. პეტროვს. ვიეტნამელი ხალხის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების სახელით იგი დიდ მადლობას იხდის იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ საკუთრით დაუჭირა მხარი ეროვნული კრების მმართველობას მაფელოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი. ჩვენი ქვეყნისათვის ამ სერიოზულ მომენტში, ალნშნულია დეპეშაში, დიდი საბჭოთა კავშირის სოლიდარობა და მხარდაჭერა ფრიად შთამაგონებელი ფაქტორია ვიეტნამელი ხალხისათვის, რომელიც სოციალიზმს ამენებს ჩრდილოეთ ვიეტნამში და რომელიც დარეზმა ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ყირგიზეთის სსრ უზ.-კურგანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისას მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 მაისს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა მშენებლობის 40 მონაწილე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ექსკავატორის მეშანდანე ა. ა. ტკალიჩენკი; შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 12 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 16 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

ელექტროსადგური მთებში

უზ-კურბანის ჭალა მთის მდინარე ნარინის ელექტროსადგურთა კასკადის პირველი სადგურია. მისი სიმძლავრე 180 ათასი კილოვატია. ჰიდროკვანძს აქვს ბეტონის დიდი წყალსაცავი. ამრიგად, ყირგიზეთისა და შუა აზიის მომავე რესპუბლიკების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მიიღებენ არა მარტო ამ სადგურის იაფ ელექტროენერგიას, არამედ წყალსაც ნაყოფიერი მიწების მოსარწყავად. (საკდესი).

ლენინის ორდენი — მწერალ ა. ე. კორნეიჩუკს

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მწერალი ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე **კორნეიჩუკი** დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. (საკდესი).

არც ერთი სიგნალი — უყურადღებოდ

ბევრ დრო გადის, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდება საბჭოთა პრესის აქტივი, სულ უფრო მეტი და მეტი წერილი შემოდის რედაქციაში. მათ შორის ცოტა როდია მამხილებელი, როგორც იტყვიან, საგულისხმო სიგნალები ჩვენი ცხოვრების ავკარგზე, ბევრი საბჭოთა მოქალაქე წერილებით, განცხადებებითა და საჩივრებით მიმართავს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობას. ზოგს შემოაქვს წინადადებანი, ზოგი ამხელს ნაკლოვანებებს, ზოგნი კი სვამენ საკითხებს, რომლებიც მათს პირად ცხოვრებას შეეხება.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი წერილების უკან ყოველთვის დგას ცოცხალი ადამიანი, წერილია ყოველ სიტყვაში ჩაქსოვილია ადამიანის გულისტკივილი და მწუხარება. და, ცხადია, არავის არა აქვს უფლება აგდებულად შეხედოს მათ. არ ჩახსნდეს საქმის არსს, არ დაინტერესდეს წერილის ბედით. ყურადღებით მოეკიდონ მშრომელთა წერილებსა და გაზეთის სიგნალებს — ეს ყველა საფეხურის ხელმძღვანელთა მოვალეობაა, საგულისხმო სიგნალები ყოველ დროზე და ობიექტურად განიხილონ გაზეთის სიგნალები, მშრომელთა განცხადებები, მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი საქმის ირგვლივ.

ასე მოქმედებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რომლებსაც შეგებული აქვთ პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე. დაკვირვებული ხელმძღვანელი — პარტიის რაიკომის მდივანი იქნება თუ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ქარხნის დირექტორი თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ყოველთვის გულისხმიერად მოეკიდება მშრომელთა წერილებს, გაზეთების სიგნალებს, რაც მისთვის გამოცდილების წყაროა, შემდგომი მუშაობის გზის მაჩვენებელია.

და მაინც ხშირად ვხვდებით ფაქტებს, როცა ფორმალურად, არაგულისხმიერად ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებს, პრესის ფურცლებზე გამოთქმულ შენიშვნებს, ზოგი მუშაკი თავს არ იწუხებს იმისათვის, რომ შეისწავლოს მშრომელთა წერილებში, გაზეთების სიგნალებში აღძრული საკითხები და მონახოს მათი გადაჭრის გზები.

სწორედ ასე მოექცნენ სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკები გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 2 მარტის ნომერში დაბეჭდილ პენსიონერ ნ. მიქაშავიძის წერილს „ჩემი ნატვრა".

„სრული ერთი წელიწადი, — წერდა ავტორი, — იტრიალა ჩემმა განცხადებამ ქალაქ სოხუმის საბინაო სამმართველოში. ნაირფერი ფანქრების რეზოლუციებით აჭრელდა: „დაუყოვნებლივ გაუკეთდეს რემონტი", „საჩქაროდ შეასრულეთ"... მაგრამ ერთ დღეს, თითქოს მიწა გასცდა, ელდა მეცა, მითხრეს, შენი განცხადება დაიკარგაო"...

გაზეთში დაბეჭდილი ეს წერილი ეხებოდა საცხოვრებელ სახლს, რომელსაც აუცილებელი შეკეთება ესაჭიროებოდა. წერილის თაობაზე რედაქციამ მრავალი შეხსენება გაუგზავნა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მაგრამ, გაზეთის ამ შენიშვნაზე დღემდე დუმან.

დუშეთის რაიონის სოფელ კანტიას მცხოვრები ნ. ბულალაური „კომუნისტის" 12 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში „გამოღვიძეთ მე ვარ, გაღვიძეთ ჩემს" აღნიშნავდა, რომ „გასული წლის გაზაფხულზე მდინარე არაგვის ტალღებმა ჩაიღეს კიდული ხიდი, რომელიც ჩვენს სოფელს მდინარის მარცხენა მხარესთან აკავშირებდა. მას შემდეგ ვართ გაკირვებაში... ძნელია გადაბასვლა, მალაზიაში საჭირო საქონლის შეძენა, საავტომობილო გზამდე მიღწევა"...

ამ საყურადღებო სიგნალსაც ცუდი ბედი ეწია. რედაქციის ვერც მრავალგზისმა თხოვნამ, ვერც ოფიციალურმა მიწერ-მოწერამ ვერ გამოაფხიზლა დუშეთის რაიაბჭოს აღმასკომის მუშაკები, რომ რედაქციისათვის ეცნობებინათ, თუ რა ზომები მიიღეს.

საქმისადმი ასეთი მიდგომა, პრესაში გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი სიგნალებისადმი ასეთი უყურადღებო, უსულგულო დამოკიდებულება კრიტიკის ჩახშობის ერთ-ერთი მეტად მავნე და დასაგმობი ფორმაა.

რედაქციაში მრავალი საჩივარი, სიგნალი მოდის, რომლებშიც მხილებულია ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე არსებული ნაკლოვანებანი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები. რა თქმა უნდა, გაზეთში ყველა სიგნალის, შენიშვნის, წინადადების დაბეჭდვა შეუძლებელია. რედაქცია მშრომელთა წერილს, განცხადებებს ზომების მისაღებად უგზავნის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, უწყებებს. მრავალია ფაქტი, რომ ესა თუ ის დაწესებულება რედაქციის მიერ გაგზავნილ საჩივრებს სერიოზულად ეხმაურება, ამოწმებს მათ, განიხილავს, იღებს ზომებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და შედეგებს აცნობებს რედაქციას. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ფაქტებიც, როცა მშრომელთა წერილები და სიგნალები მიზანს ვერ აღწევს ზოგიერთი ორგანიზაცია სრულ ინერტულობას და შეუწყვარებელ უსულგულობას იჩენს რედაქციიდან გადაგზავნილი მშრომელთა საჩივრების მიმართ.

მიმდინარე წლის 11 თებერვალს რედაქციამ პარტიის დმანისის რაიკომს გადაუგზავნა ა. კაკელაშვილის საჩივარი სოფელ განთიადის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. მიუხედავად რამდენჯერმე შეხსენებისა, მიღებული ზომების შეასახებ რაიკომს რედაქციისათვის დღემდე არაფერი არ უცნობებია. ასეთივე ბედი ეწია ბავშვის ალიმენტის და ჩილის გამოყოფის შესახებ მოქალაქე ე. ხუტაფშვილის განცხადებას, რომელიც ცხინვალის სახალხო სასამართლოს გადაეგზავნა.

წელს იანვარში სოფელ მარტყოფის მცხოვრებნი წერდნენ, რომ სოფლის ერთ-ერთ უბანს სასმელი წყალი არა აქვს. რედაქციამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამ საქმეს გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომი მოაგვარებდა, მარტყოფელთა საჩივარი აღმასკომს გადაუგზავნა. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებმა ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ რედაქციისათვის შედეგი შეეტყობინებინათ. რედაქციიდან გადაგზავნილ მშრომელთა საჩივრებზე პასუხის გამოგზავნას ავალებენ აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სარბრის, ხულოს რაისაბჭოების აღმასკომები.

ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უნდა მოვაგონოთ, რომ პრესის სიგნალების, მშრომელთა განცხადებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება ზიანს აყენებს საერთო საქმეს, შეუფერებელია სკკპ წევრის მაღალ წოდებასთან. გულისხმიერი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, მათი განცხადებებისა და საჩივრების ობიექტური და ოპერატიული გარჩევა თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა. უნდა გავაუქმოთ ისეთი და არსებული წერილებისა და საჩივრების დროული განხილვა, უნდა აღმოფხვრათ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე.

მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის საქმის ზუსტი ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ყურადღებით ვეკიდებოდეთ წერილებს — ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღებით ვეკიდებოდეთ ადამიანს, მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მშრომელთა არც ერთი სიგნალი, არც ერთი საგაზეთო შენიშვნა არ დარჩეს უყურადღებოდ — ასეთია ამოცანა.

აფრიკის განთავისუფლების დღე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მილოცვა

აფრიკის განთავისუფლების დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურ ქვეყნებში აკრედიტებულ საბჭოთა ელჩებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლის საშუალებით შემდეგი მეგობრული მილოცვა გაუგზავნეს აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა გულთადად გილოცავენ თქვენ და თქვენი ქვეყნის ხალხს აფრიკის დიდ საერთო დღესასწაულს — აფრიკის განთავისუფლების დღეს.

საბჭოთა ადამიანები ამ ღირსშესანიშნავ დღეს აფრიკის ხალხებთან ერთად აღნიშნავენ. ისინი გულწრფელად ხარობენ იმ იმპერიული შემობრუნების გამო, რომელიც აფრიკაში მოხდა კოლონიური ჩაგვრიდან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ და, რომელმაც აფრიკის ხალხებს დაუჭახა გზა, გათიშულობიდან და ჩამორჩენილობიდან ერთობისა და პროგრესისაკენ. აფრიკელთა სამართლიან და კეთილშობილურ მისწრაფებას — მთელ კონტინენტზე სამოლოდ მოსპონ კოლონიური და რასისტული რეჟიმები, წინააღმდეგნენ ნეოკოლონიალიზმსა და ყველა მის გამოვლინებას, მუდამ სრული გაგებით ეკიდებოდა და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირი. აფრიკის დიადი განმათავისუფლებელი პროცესი, რომელმაც დაუძლეველი ძალა მოიპოვა, უერთდება პროგრესული ტენდენციებია საერთო ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ ახლანდელ მომენტში, როცა აგრესიის ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უცხოელთა ბატონობისგან ხალხთა განთავისუფლებას, საშიშ კონფლიქტებს ქმნიან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, უმნიშვნელოა ეიჭეკა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების სოლიდარობასა და თანამშრომლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა გულწრფელად უსურვებენ თქვენს ქვეყანას და აფრიკის ყველა სახელმწიფოებს შემდგომ წარმატებებს თავისუფალ ეროვნულ განვითარებაში, ერთიანობისა და მშვიდობის განმტკიცებაში".



დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში. ყველგან გაჩაღდა „მწვანე ოქროს" მასობრივი კრეფა. საკრეფი ფოთოლი უხვად შემოვიდა მოქვის საბჭოთა მეურნეობაში. პლანტაციებში გავიდა თექვსმეტი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". ამ მანქანებმა უკვე მოკრიფეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის პირველი ტონები.

სურათზე აღბეჭდილია ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა მოქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. ჭობონელიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

200.000 ტონა ჩაისათვის!

ზუგდიდი. (საკ. კორ). რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფა. მეჩაიეებმა პირველი ასეული ტონები ჩაბარეს გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკებს.

კრეფის ტემპი ძლიერდება **კახათის** მარქსის სახელობის, **კორცხელის** გზით „კომუნისტის" სახელობის, **რუხის, ინგირის** კოლმეურნეობებში. ამ დღეებში ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კრეფას დაიწყებენ მანქანებით.

ბალი. ჩაის პლანტაციებში დიდი გამოცოცხლებაა. მკრეფავები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ მეტი და ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სოფელ ჯუბერხიჯის კოლმეურნეობაში გაჩაღდა ლაშქრობა წელს 480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებისათვის.

მასობრივად შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას ჯეგუსტიბერის „კოლმეურნეობის **მეოთხე, მეექვსე, მეცხრე** და **მეათე** ბრიგადები, რომლებსაც **შ. მიქია, ბ. ლაგვილავა, ა. ცაცუა, თ. ტაბაღუა** ხელმძღვანელობენ. მათ ერთ დღეს მოკრიფეს 500 კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული.

ფულეკიძე. სეზონის დაწყებიდან რაიონში სულ მოკრიფდა 400 ტონაზე მეტი ფოთოლი. მარტო 22 მაისს მოკრიფეს 70 ტონა. **ჩაის საბჭოთა მეურნეობის** მეჩაიეებმა ერთ დღეს მოკრიფეს 30,2 ტონა. „მწვანე ოქროთ" მათხოვარი, გორგასლიანის კოლმეურნეობებში გუშინ მოკრიფეს 2.175 — 2.800 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ქალაქ ზუგდიდის ფულეკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 22 მაისს მოკრიფეს 3.400 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ბ. ბეგუნაძე.

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. პლანტაციებში მასობრივად გავიდნენ მკრეფავები. კარგად დამუშავებული პლანტაციები უხვად იძლევიან ჩაის ფოთოლს. 22 მაისს რაიონში მოკრიფეს 100 ტონამდე ჩაის ნედლეული.

კრეფის მაღალ ტემპია აღებული სოფელ **აცანის** კოლმეურნეობაში, სადაც გუშინ 16 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. მოწინავე მეჩაიეებმა **მარგალიტა ჩხაიძემ, ნორა ჩხაიძემ, ნორა ბურკაძემ** ერთ დღეს 60-70 კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოკრიფეს და დღიური დავალება 250-300 პროცენტით გაანადღეს.

ჩაის ფოთლის კრეფაში წინ მიდიან **გულიანის, მამათის, ქვეშო აკეთის, ჩოჩხათის** კოლმეურნეობათა მეჩაიეები.

ერთ დღეს — 108 ტონა

— ჩვენი რაიონის მეჩაიეები, — გვაცნობა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მეორე მდივანმა ქ. გრბოვაძ. — მასობრივად შეუდგნენ უხვად შემოსული ფოთლის კრეფას. აღსანიშნავია, რომ კრეფის სეზონი წელს რაიონში ერთი თვის დაგვიანებით დაიწყო. მიუხედავად ამისა, ორ-სამ დღეში მივაღწევთ შარშანდელ დონეს.

22 მაისისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 450 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". კიდევ 120 ტონაა საჭირო, რომ გავუსწოროთ შარშანდელ მაჩვენებელს. კრეფის ტემპი მაღალია. ამას მოწმობს ისიც, რომ 21 მაისს რაიონში მოიკრიფა 108 ტონა ჩაის ფოთოლი.

რაიონის ჩაის ფაბრიკებმა ათობით ტონა მზა პროდუქცია გამოუშვეს.

ტემპი მატულობს

ᲣᲮᲐᲢᲐᲙᲔᲒᲔᲜ

ქარელი. რაიონის მხგნელ-მთესველებმა 19 მაისისათვის გადაპრბეთით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, — ატყობინებენ რედაქციას პარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი **დ. მალალაშვილი**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. კოპაძე** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **კ. შუბითიძე**.

რაიონში დათესილია 7.302 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები ხაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.216 ჰექტარისა, მათ შორის 3.971 ჰექტარი სიმინდი, გეგმა კი 3.695 ჰექტარს ითვალისწინებდა. ამედან სანარცვლად დათესილია 3.308 ჰექტარი, თესვა გრძელდება.

ამასთან ერთად ხრეფი ტემპით მიმდინარეობს ბაქრის ბარხლის ნაოსვლების დამუშავება. 1.351 ჰექტარიდან ნიადაგის გაფხვიერება დამთავრებულია 1.210 ჰექტარზე. დაწესებული ტექნიკა კონტროლი ყველა სამეურნეოს მაღალხარისხოვნად შესრულებისაშია.

ᲐᲒᲐᲨᲘᲡ რაიონის მეცხოველეები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებებს. — გვაცნობებს პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ჩაგუნავამ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ნადარეიშვილმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. კუციამ**. რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მაისისათვის გადაერბინეთ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება შესრულებულია 105,4 პროცენტით, რძისა — 105,9 პროცენტით, ბოლო კვერცხისა — 132,3 პროცენტით. გრძელდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გეგმის გადამეტებით.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗ

ᲕᲘᲗᲝᲠᲘᲐ. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობენ ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც თავიანთ უკრანელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან.

ამ დღეებში მაღაროელებმა სასახარულო ამბავი შეიტყეს. საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ შეაჯამეს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტლის შედეგები. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ჭიათურელმა მაღაროელებმა. მარგანეცის ტრესტში მიეკუთვნა პირველი ადგილი და ფულადი პრემია, მასვე გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკაში მეორე ადგილი მიეკუთვნა ყალინინის სახელობის მაღაროს, ხოლო მესამე ადგილი — დიმიტროვის სახელობის მაღაროსა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებს.

გარდამავალი დროშა — თეთრწყაროელებს

თეთრი წყარო. (საკდესი). 22 მაისს თეთრი წყაროს კინო-თეატრის შენობაში თავი მოიყარეს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა.

შეკრება მიეძღვნა თეთრი წყაროს რაიონისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშის გადაცემას მიმდინარე წლის I კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

შეკრება გახსნა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბეკაურშმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ჭოადგილე დ. ნიკურაძე. დ. ნიკურაძემ გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს ა. ბეკაურს.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ლაშხი**, ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ჩომახაშვილი**, ირაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. კუდუხოვი**, ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ბეკაური**, კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. კანკავაშვილი**, მანგლისის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის მწველავი **თ. მიგრიაული**, თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ბ. ბელიავი** და სხვები.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ა. ბეკაურმა.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗ

ᲕᲘᲗᲝᲠᲘᲐ. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობენ ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც თავიანთ უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან.

ამ დღეებში მაღაროელებმა სასახარულო ამბავი შეიტყეს. საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ შეაჯამეს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტლის შედეგები. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ჭიათურელმა მაღაროელებმა. მარგანეცის ტრესტში მიეკუთვნა პირველი ადგილი და ფულადი პრემია, მასვე გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკაში მეორე ადგილი მიეკუთვნა ყალინინის სახელობის მაღაროს, ხოლო მესამე ადგილი — დიმიტროვის სახელობის მაღაროსა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებს.

დაეხმარეთ ქომბაინების რემონტი

თავთავიანი. მარცვლეული კულტურების აღების დაწყებამდე დიდი დრო რჩება დარჩენილი. ამიტომ აუცილებელია უახლოეს დღეებში დამთავრდეს მარცვლის ასაღები კომბაინების რემონტი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ შესაკეთებელი იყო 825 კომბაინი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 მაისის ცნობებით შეკეთებულია 435 კომბაინი, რაც გეგმის 52,7 პროცენტს შეადგენს.

კომბაინების რემონტის დავალება შესრულებული აქვს ახლოდან ბოლნისის რაიონს, რომელმ-ც გეგმით გათვალისწინებული 23 კომბაინის ნაცვლად შეაკეთა 24. თეთრი წყაროს რაიონში გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით, სიღნაღის — 79,7; ქარელის — 72,2, წითელწყაროს — 66,7, გურჯაანის — 65,6, ყვარლის — 62,1, ახალქალაქის — 60, ბოგდანოვკის — 60, საგარეჯოს — 57,9, თელავის — 56,2, ახმეტის — 55, ლაგოდეხის — 50, გარდაბნის — 44,3, ახალციხის — 40, ხაშურის — 37,5, მარნეულის — 29, წალკის — 25, დუშეთის — 12,5, გორის — 4, კასპის რაიონში 3,6, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 22,2 პროცენტით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲠᲘᲗᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკდესი). კვირას დამით ამერიკის თვითმფრინავები ორჯერ დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიას, იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგანგებო კორესპონდენტი საიგონიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲠᲘᲗᲔᲑᲘ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ახორციელებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას შეუფერხებლივ და ვადაზე ადრე აწვდის ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

ქარხანამ 20 მაისისათვის გადაკარბებით შეასრულა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ხუთი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით ათობით გამოუშვა მცირეგაბარიტიანი მოდერნიზებული ტრაქტორი, მთის ზონის პირობებისათვის 100 გუთანი და უამრავი სათადარიგო ნაწილები.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შემდგომში კიდევ უფრო გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მიაწოდოს სოფლის მეურნეობას.

თბილისი. მე-4 მექანიკური ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება 104,8 პროცენტით შეასრულა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ხუთი ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ბაშმაქის მანქანათსამშენებელო ქარხანამ შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 53 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სახალხო მეურნეობამ დამატებით მიიღო 25 ცალი ჩაის ღია ტიპის როლერი და 50 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანამ ოთხი თვის საწარმოო დავალება 107,1 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

თბილისი № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება 101,6 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 6 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი გაუგზავნა მომხმარებელს.

ᲤᲘ. ᲘᲝᲜᲐᲡᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲐ

ვენა, 24 მაისი. (საკდესი). არჩევნებზე, რომელიც გუშინ გაიმართა, ავსტრიის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს ავსტრიის სოციალისტური პარტიის კანდიდატი ფრანც იონასი. ფ. იონასმა 2.324.474 ხმა მიიღო.

მისმა მოწინააღმდეგემ — ავსტრიის სახალხო პარტიის კანდიდატმა ალფონ

მკითხველი გვირჩევს, ამხილებს

- მეცხოველეთა უპირველესი საზრუნავი
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა — ყურადღების ცენტრში
- ბუნების სიმდიდრენი ხალხის საკუთრებაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სიუხვის რეზერვები

მეტი ყურადღება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას

ს კკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში დასახულია სოფლის მეურნეობის დარგების, მათ შორის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ფონისძიებანი.

მეცხოველეობას ერთ-ერთი მთავშუნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. მაგრამ მას ესაჭიროება მთელი რიგი საკითხების გადაჭრით მოგვარება, კერძოდ, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელ პირობაა ჯიშესანაშენო მუშაობის ძირეული გაუმჯობესება და პირუტყვის ხელოვნური დათესლვის ფართოდ დანერგვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გასული წლის ივლისში მიიღეს დადგენილება მეცხოველეობაში ჯიშესანაშენო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს მუშაობის გაუმჯობესებას ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიის ბიურომ რაიონულმა კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველომ საქმიანად მოკიდეს ხელი ამ დადგენილების შესრულებას და უკვე კარგი შედეგებიც მოიპოვეს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუმჯობესდა ზოოტექნიკური მუშაობა, იყენებენ პირუტყვის ხელოვნურ დათესლვას, გაუმჯობესდა სანაშენო პირუტყვის მოვლა და სხვ.

პირუტყვის ხელოვნური დათესლვის 25 სახელმწიფო და 2 საკოლმეურნეობათაშორისო სადგურმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელოვნური დათესლვის 900-მდე პუნქტმა, აგრეთვე ჯიშესანაშენო მეურნეობებმა თავიანთი მუშაობით დადებითი გაკვლევა მოახდინეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის თვისებრივ გაუმჯობესებაზე. ეს პირველ რიგში ეხება ხელოვნური დათესლვის სახელმწიფო სადგურებს, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებულია მომზადებული კადრებით, ძირითადად უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სადგურებში ჰყავთ მაღალი კლასის 196 კურო.

წლითიწლობით იზრდება ძროხებისა და ცხვრის ხელოვნური დათესლვა. 1962 წელს ხელოვნურად დათესლა 101.700 ძროხა, 1963 წელს — 108.600, ხოლო 1964 წელს — 114.700 ძროხა. 1963 წელს სახელმწიფო სადგურებმა პირველად მოაწყეს ცხვრის მასობრივი ხელოვნური დათესლვა და დათესლეს 160 ათასი ცხვარი, 1964 წელს კი — 220 ათასი ცხვარი.

სამი წლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელოვნურად დათესლილი ძროხებისაგან, ამავე წლების საშუალო რესპუბლიკურ მონაცემებთან შედარებით, მიღებულია 10-15 პროცენტით მეტი ნამატი.

მეურნეობებში ფართოდ ინერგება პირუტყვის ბონიტირება. ხელოვნური დათესლვით მიღებული 7 ათასი ახალდაბადებული ხბოს წონის ანალიზი მოწმობს, რომ ხელოვნური დათესლვის მეთოდი მაღალპროდუქტიული პირუტყვის მიღების საიმედო საშუალებაა.

ჯიშესანაშენო მუშაობის წარმატებანი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ყურადღებით არ ეკიდებიან დასახულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია ხელოვნური დათესლვის გაუმჯობესება. მაგალითად, ბოგდანოვკის, ახალციხის, ახალქალაქის, წალკის, ბოლნისის, დმანისისა და თიანეთის რაიონებში ჯიშესანაშენო მუშაობა ჯერ კიდევ არა დგას იმ დონეზე, რაც მოეთხოვება ისეთ რაიონებს, რომლებსაც მეცხოველეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვთ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გაუმჯობესდა ძროხების ხელოვნური დათესლვის მაჩვენებლები. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასულ წელთან შედარებით 2.905-ით მეტი ძროხა დაითესლა. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს წყალტუბოს, წითელწყაროს, გორის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის და სხვა რაიონებმა.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი საწარმოო სამმართველოები უნარიანად, სისტემატიურად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს პირუტყვის ხელოვნური დათესლვის მასობრივად დანერგვაში. აშენდა ხელოვნური დათესლვის პუნქტები გორის, გურჯაანის, მახარაძის, ზუგდიდისა და ბათუმის რაიონების მეურნეობებში. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში კიდევ არის სერიოზული ხაკლოვანებანი. დმანისის რაიონის კოლმეურნეობებში შარშან ხელოვნური დათესლვის 19 საკოლმეურნეო პუნქტიდან 5 პუნქტს არ უმუშავია, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ მუშაობდა 14 პუნქტი. ზოოტექნიკური მუშაობა დაბალ დონეზე დგას ამ რაიონის სოფლების ჯავახის, კამარლოს, უსიინქეხლის, იერგანსოფის კოლმეურნეობებში.

ბოლნისის რაიონის მეურნეობებში მუშაობს მეცხოველეობის 59 სპეციალისტი, მათ შორის 30 უმაღლესი განათლებით არის. მიუხედავად ამისა, ამ მეურნეობებში ზოოტექნიკური მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. შედეგნილი არ არის ძროხის დაგრილების კალენდარული გეგმები, უზრუნველყოფილი არ არის სრულფასოვანი სარემონტო მოზარდეულის გაზრდა, მოიწესრიგებელია პირუტყვის რაციონალური კვება, არ წარმოებს პირუტყვის ბონიტირება და სხვ. ბოლნისის რაიონის სოფელ ფაზარალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ 4-7 წლის 286 ძროხა ჰყავს. მათ შორის 132 ძროხის მოგებიდან მომდევნო დამაკებამდე პერიოდი 5-დან 12 თვემდე გრძელდება. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ქომაქლისის XIX პარტყრიღლობის სახელობის, სოფელ სარაჩლოს რუსთაველის სახელობის, სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეცხოველეობის ფერმები საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით. ოლქში მომუშავე ზოოტექნიკოსებიდან მხოლოდ 5 ზოოტექნიკოსს აქვს უმაღლესი განათლება. ოლქში არსებული ხელოვნური დათესლვის 43 პუნქტიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ უმუშავია 22 პუნქტს. მეურნეობათა და საწარმოო სამმართველოთა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ პუნქტების მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

გაგრის, გუდაუთის და გულრიფშის რაიონების ხელოვნური დათესლვის 52 პუქტიდან მიმდინარე წლის 1 მარტისათვის არ მუშაობდა 27 პუნქტი, ოჩამჩირის რაიონის 17 პუნქტიდან — 9 პუნქტი, გალის რაიონის 23 პუნქტიდან — 13. აფხაზეთის მეურნეობებში ნაკლებად წარმოებს პირუტყვის ბონიტირება, უზრუნველყოფილი არ არის სრულფასოვანი სარემონტო მოზარდეულის გაზრდა.

ჯიშესანაშენო მუშაობის მაღალ დონეზე წარმოებასა და პირუტყვის ხელოვნური დათესლვის ფართოდ დანერგვას ხელშეწყობად ართულებს მეცხოველეობის მომთაბარეობა, მეტ წილ საკოლმეურნეო ფერმებს ცოტა ჰყავთ სადგმი პირუტყვი, არადამაკმაყოფილებელია ზოოტექნიკური მუშაობის დონე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სწორედ ამიტომ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ, რათა გაუმჯობესონ ჯიშესანაშენო მუშაობა, შეასრულონ ამოცანები, რომლებიც მეცხოველეებს დაუსახეს პარტიამ და მთავრობამ.

ჯიშესანაშენო მუშაობის ძირეული გაუმჯობესების უპირველესი ამოცანაა შეკვრნათ მტკიცე საკვები ბაზა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოიწყოთ პირუტყვის რაციონალური კვება, დროულად და ხარისხიანად განახორციელოთ ვეტერინარული ღონისძიებანი, გავზარდოთ სრულფასოვანი სარემონტო მოზარდეული. თუ მაღალ დონეზე არ ავიყვანეთ ზოოტექნიკური კულტურა, შეუძლებელია მოვიპოვოთ წარმატებანი მეცხოველეობაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სრულფასოვანი სარემონტო და სანაშენო მოზარდეულის გაზრდას, მაღალპროდუქტიული პირუტყვის ცალკე ჯგუფების გამოყოფას, პირუტყვის მოვლისათვის კეთილნაყოფიერი პირობების შექმნას. ხელოვნური დათესლვის კეთილმოწყობილი პუნქტები უნდა გაქონდეს როგორც ფერმებში, ისე სამოვრებზე. და ვზრუნავდეთ მათი ნორმალური მუშაობისათვის. საჭიროა გავაძლიეროთ სპეციალისტთა პირადი პასუხისმგებლობა მეცხოველეობის განვითარების ყველა სამეურნეოს წარმოებისათვის. არ შეიძლება შევუთანგდეთ იმას, რომ ხარვეზები ჰქონდეთ მუშაობაში სპეციალიზებულ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს, ინტენსიური მაღალი ზოოტექნიკური კულტურის მაგალითს უნდა იძლეოდნენ.

ჯიშესანაშენო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის.

ამჟამად, როცა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს კონკრეტული გზები და საშუალებანი საარსებო მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, დიდ დამატებით სახსრებს ანაწილებენ მეცხოველეობაში. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მოვალეობაა უნარიანად გამოიყენონ პარტიისა და მთავრობის დიდი დახმარება, რასაც ისინი სოფლის მეურნეობას უწევენ, უახლოეს ორ-სამ წელიწადში ძირეული გარდატეხა მოახდინონ მეცხოველეობის განვითარებაში.

ვ. მაღლაკელიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მეცხოველეობის სექტორის გამგე.

ეს საჭიროა ბავშვებისათვის

მთის კალთებზეა შეფენილი ლამაზი სოფელი გორდი (წულუკიძის რ.). სოფლის მშრომელებს ემსახურება საშუალო სკოლა, სკოლა-ინტერნატი, კლუბი, საავადმყოფო, საექიმო უბანი, აფთიაქი, მაღაზიები, სასადილო, პურის საცხობი, ფოსტა და სხვა დაწესებულებები.

ბუნების უხვი წყალობით დაჯილდოებული სოფლის გორდის მშრომელთა მადლიან მარჯვენას უფრო დაუმშვენებია და თვალწარმტაც ნალკოტად უქცევია 80 ჰექტარზე გაშენებულია აგარაკი.

ახლა ზაფხულობით გორდი თავისი ლამაზი ბუნებით, სუფთა ჰაერით და მთის ანკარა წყაროებით მრავალ დამსვენებელს იზიდავს. ზაფხულობით ჩამოდიან სამავშვო ბაღები, ბაგები და პიონერთა სახლები, მაგრამ ბინის უქონლობის გამო შესახლებული არიან სკოლა-ინტერნატის შენობაში. ეს მოუბერხებელიც არის და ამასთან სკოლა-ინტერნატს ყოველწლიურად ხელი ეშლება ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში.

მომავალი თაობის აღზრდის ინტერესები მოითხოვს, რომ გორდის აგარაკზე აიგოს პიონერთა ბანაკისათვის დასასვენებელი სახლი, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდების გაჯანსაღებას.

გ. გეგეჭკორი.

მოგვეცით ლიტერატურა

ტყიბულელი ახალგაზრდა მეშახტეები ტექნიკური ცოდნისადმი დიდ ინტერესს იჩენენ. ბევრი მეშახტე შესანიშნავად ათავსებს სანგრეში მძიმე ფიზიკურ შრომას და სწავლას. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარტო ტყიბულის ფილიალში ორასამდე სტუდენტი წარმოებისაკენ მოუწყვეტლივ ეუფლებაა სამთო საქმეს. მრავალი მეშახტე ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელია.

ბუნებრივია, რომ სტუდენტები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ სასწავლო ტექნიკურ ლიტერატურაზე. ისინი ხშირად მოდიან საქალაქო ბიბლიოთეკაში, ითხოვენ საჭირო ტექნიკურ ლიტერატურას, მაგრამ გაწბილებული ბრუნდებიან. საქმე ის არის, რომ ბიბლიოთეკა, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ვერ მარაგდება სასწავლო ხასიათის ტექნიკური ლიტერატურით. საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანოებმა გაითვალისწინონ მკითხველთა გაზრდილი მოთხოვნილება სასწავლო ხასიათის ტექნიკურ ლიტერატურაზე, გამოსცეს იგი და მიაწოდონ ბიბლიოთეკებს.

ქ. ზიძიძე,
ქ. ტყიბულის № 1 ბიბლიოთეკის გამგე.

ვინ ვაჭრობს წიგნით?

წიგნით ვაჭრობის დარგში განსაკუთრებული ადგილი ბუკინისტურ მაღაზიებს უჭირავს. ერთი ასეთი მაღაზია თბილისში რუსთაველის პროსპექტზეა. მის თაროებზე სისტემატურად ნახავთ სხვადასხვა ხელოვნებისა და ლიტერატურის ძველ, ფასეულ, ფოტოალბომებს, ბუკინისტურ ლიტერატურას, ანტიკვარულ ნივთებს, ფოტოაპარატებს, ბინოკლებს, ფოტოფირებს, ფოტოქაღალდს, ფოტოფირფიტებს, ფოტოფირფიტებისა და ფოტოქაღალდის ფიქსაჟებს, ფოტოფირფიტებისა და ფოტოქაღალდის ფიქსაჟებისა და ბეჭდვის ბუფეტებს, ფოტოფირფიტებისა და ფოტოქაღალდის ფიქსაჟებისა და ბეჭდვის ბუფეტებისა და

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲛᲔᲓᲔᲑᲐ

25 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ — ᲐᲤᲠᲘᲙᲐ 25 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲐᲡᲔᲣᲚ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡᲛᲘᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲐ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲓᲐᲠᲘᲡᲑᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲐ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲓᲐᲠᲘᲡᲑᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲧᲕᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲧᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲦᲘᲠᲘᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲫᲕᲠᲘ ᲡᲝᲚᲓᲐᲠᲘᲡᲑᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲫᲕᲠᲘ ᲡᲝᲚᲓᲐᲠᲘᲡᲑᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲔᲑᲚ

ახალი პოეტი · ყრილობები

ბავშვების მოამაგე

ამ დღეებში ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ხელოვნების მუშაკთა სახლში სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილ პედაგოგს თამარ ნიკოლოზის ასულ ერისთავს საიუბილეო საღამო გაუმართა დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დამსწრეთ თ. ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობა გააცნო შეთოდისტმა ლ. გრიგოლიამ. თამარ ერისთავი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც სკოლამდელი აღზრდის სპეციალური განათლება შვეიცარიაში მიიღო და სამშობლოში დაბრუნებულმა მთელი თავისი ცოდნა, უნარი მოახმარა საბავშვო ბაღების სისტემაში ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში თბილისში 24 საბავშვო ბაღი რომ ყაიხსნა, პირველი სპეციალური ეურნალები „საბავშვო ბაღი", „იზარდე, მწვანე ყვავილო!" და სხვა რომ გამოიცა, საინტერესო დიდაქტიკური მასალა, საკირო ინვენტარი რომ შეიქმნა, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა კადრები რომ მოამზადა, — ყველაფერ ამაში დიდი წვლილი ედო თამარ ერისთავს.

თავისი 50 წლის მოღვაწეობის მანძილზე მან ჩვენს სამშობლოს აღუზარდა მრავალი ათასი ქალიშვილი და ბიჭუკი, რომლებიც სახელოვნად შრომობენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. თამარ ერისთავი სკოლამდელი აღზრდის თემაზე დაწერილი 18 წიგნის ავტორია.

საიუბილეო საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

იუბილარმა მადლობა გადაუხადა პარტიას, მთავრობას, ხალხს ამაგის დაფასებისათვის.

◆

შეხვედრა რადიომსმენელებთან. ტელემაყურებლებთან

აპას წინათ დუშეთში გაიმართა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების შეხვედრა დუშეთის რაიონის რადიომსმენელებთან და ტელემაყურებლებთან.

შეხვედრაზე, რომელიც კულტურის სახლში გაიმართა, თავიანთი სურვილები და შენიშვნები გამოთქვეს დუშეთის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლ. გაზიაშვილმა, კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანმა ზ. ველოთაურმა, ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. მანულაშვილმა და სხვებმა.

რადიოსა და ტელევიზიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე დამსწრეთ ესაუბრნენ საქართველოს რადიოს პოლიტიკურ გადაცემათა მთავარი რედაქტორი ვ. ბაბაშვილი, საქართველოს ტელევიზიის პროგრამების რედაქციის მთავარი რედაქტორი გ. ძნელაძე, ტელევიზიის დიქტორი ლია მიქაძე, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ტელევიზიის დარგში ა. ძიძიგური.

დასასრულ უჩვენეს საქართველოს ტელევიზიის მიერ გადაღებული მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

ე. ჩუბინიძე.

საბჭოთა დიპლომატიის მატიანე

წარმოებს ხელმოწერა გამოცემის „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები" დამატებით ტომებზე



1957 წელს მოეწყო ხელმოწერა „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებზე" ათ ტომად. ამ ტომებში მოთავსებულია მასალები დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან 1927 წლამდე ჩათვლით — 4.700-ზე მეტი საბჭოთა და უცხოური დოკუმენტი, რომლებიც ინახება ძირითადად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, და თითქმის 1.100 შენიშვნა-კომენტარი. ამ დოკუმენტების უდიდესი უმრავლესობა პირველად არის გამოქვეყნებული.

გაითვალისწინეს რა საბჭოების ქვეყნის დიპლომატიური დოკუმენტების პუბლიკაციის დიდი მნიშვნელობა, ავრცელეს მეცნიერული საზოგადოებრიობისა და ცალკეულ მკითხველთა მიერ გამოთქმული მრავალი სურვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური დოკუმენტების გამოცემის კომისია და პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა 1965-1970 წლებში განაგრძობენ „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების" გამოშვებას და მიიყვანენ გამოცემას მეორე მსოფლიო ომის წლამდე.

დამატებით გამოშვებული იქნება 10-12 ტომი.

ტომებში მოთავსდება საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური აქტები, საბჭოთა ელჩების ბევრი წინათ გამოუქვეყნებელი მოხსენება, საერთაშორისო კონფერენციებისა და თათბირების მასალები, უცხო სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მინერ-მოწერა საზღვარგარეთის საგარეო საქმეთა უწყებებთან, დიპლომატებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ, კულტურულ და სხვა საკითხებზე.

„სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების" დამატებით ტომებზე ხელმოწერას იღებენ მაღაზიები, რომლებიც ხელმოწერითს გამოცემებს ავრცელებენ.

ხელმოწერის პირობები:

ერთი ტომის ფასი 1 მან. 50 კაპ.

ხელმოწერისას შეტანილ უნდა იქნას ამ ერთი ტომის ღირებულების ოდენობით.

გამოსული ტომების ღირებულების გადახდა ხდება მათი მიღებისას.

მე ჩათვლება უკანასკნელი ტომის მიღებისას.

ვისაც წინათ აქვნდა მოწერილი ხელი „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების" გამოცემაზე ათ ტომად, შეუძლია გააფორმოს ხელმოწერის განგრძობა.

ამ გამოცემაზე ახლად ხელმოწერილს შეუძლიათ შეიძინონ წინათ გამოსული ტომების კომპლექტი ხელმოწერის ადგილას.

თუ ადგილობრივ მაღაზიებში არ არის „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების" წინათ გამოსული ტომები, ადგილებზე მათი გაგზავნა შეუძლია „სოიუზკნიგას" წიგნის საავტორო ორგანიზაციებისა და საბჭოთა საგარეო კავშირების შეკვეთებით.

პოლიტგაბეჭდეცენტრი „სოიუზკნიგა"

ქართული კერამიკა ქენევაში

ჯართულმა დეკორაციულმა კერამიკამ ქენევაში ბორს გაითქვა სახელი. ჩვენი მხატვარი კერამიკოსების ნამუშევრები დიდი ხანია ამშვენებს კერამიკოსთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენებს.

წელს 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე შვეიცარიის ქალაქ ფენევაში გაიმართება მხატვრული კერამიკის საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კერამიკოსები.

გამოფენის ექსპოზიციაში საბჭოთა კავშირს 15 ადგილი დაეთმო.

ფენევაში გასაგზავნი ექსპონატების შეხარჩევად მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მხატვარ-კერამიკოსთა ნამუშევრების გამოფენა. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან წარმოდგენილი იყო 600-ზე მეტი ნამუშევარი.







ფენევის გამოფენაზე გასაგზავნად შერჩეული 15 ნამუშევრიდან ორი ეკუთვნის თბილისის სამხატვრო აკადემიის თანამშრომლებს მხატვარ კერამიკოსებს ალდე კაკაბაძისა და ეკატერინა ფოსტაჩინაძეს.

„საქორწილო" ასე ჰქვია ა. კაკაბაძის კერამიკულ კომპლექტს, რომელშიც შედის ლამაზად მოჭიქული თასი და დოქი. ე. ფოსტაჩინაძე კი გამოფენაზე წარსდგება მხატვრული დეკორაციული თასით.

ეს ნამუშევრები შესრულებულია ქართული ეროვნული სტილით, დამშვენებულია ხეკუსურული ორნამენტითა და ფიგურებით.

ქართველი მხატვარი კერამიკოსი ქალები ფენევაში გაეგზავრებიან. საერთაშორისო გამოფენაზე დელეგატად წავა აგრეთვე თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების კათედრის პროფესორი დავით ციცაშვილი, რომელიც კერამიკოსთა საერთაშორისო ჟიურის წევრია. იგი მონაწილეობას მიიღებს ფენევაში კერამიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

სურათებზე: მარცხნივ — ა. კაკაბაძის კერამიკული კომპლექსი „საქორწილო" (დოქი და თასი); მარჯვნივ — ე. ფოსტაჩინაძის დეკორაციული თასი.

ეცხოეთის ეკრანი

რობერ ირშის 13 როლი ერთ ფილმში

პარიზის ეკრანებზე გამოვიდა ახალი კომედია „მხოლოდ არა შაბაშს". ფილმი საფრანგეთ-იტალიის ერთობლივი ნაწარმოებია. იგი დადგა ფრანგმა რეჟისორმა ალექს ჯოფემ.

კომედიის სიუჟეტი ასეთია: მომაკვდავ მოხუც დირიჟორს გამოეცხადება გარდაცვალებული მამის აჩრდილი. ის აფრთხილებს მოხუცს, რომ დირიჟორი სამოთხეში მხოლოდ იმ პირობით მოხვდება, თუ დაწერს ანდერძს, რომლითაც თავის შვილებს (ისინი კი რამდენიმე ყავს სხვადასხვა ქვეყანაში) აიულებს დაბრუნდნენ ისრაელში, მემკვიდრეობის უფლება რომ არ დაკარგონ.

პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ცნობილი მსახიობის რობერ ირშის თამაშს, რომელმაც ფილმში ბრწყინვალედ შეასრულა ცამეტი როლი: მომაკვდავი დირიჟორის, მისი განსვენებული მამის, რამდენიმე ვაჟიშვილისა და... ქალიშვილისა.

მარინა ვლადი ახალ როლში

საფრანგეთის პოპულარული კინოვარსკვლავი მარინა ვლადი შეასრულებს მთავარ როლს ფილმში „შენ, მე და ნინა ლიზა", რომლის გადაღებას რეჟისორი მიშელ დევილი აპირებს ნიუ-იორკში, რომსა და მიუხენენში. ეს კინოსურათი მოგვითხრობს კლასიკური ფერწერის აღფრთოვანებულ თაყვანისმცემელზე, რომელმაც ლუვრში ლეონარდო და ვინჩის შედევრი ნახა და მას შემდეგ ძილი და მოსვენება დაკარგა.

ჩაპლინისა და სოფია ლორენის ფილმი

იტალიური ჭაზეთები სულ უფრო დაჟინებით წერენ ჩარლი ჩაპლინისა და სოფია ლორენის შესაძლო ურთიერთთანამშრომლობაზე.

ჩაპლინმა თავის ამ ბოლოდროინდელ ინტერვიუებში, რომლებშიც არაერთხელ გაუფიცხადებია, რომ განზრახული აქვს დაუბრუნდეს აქტიურ მუშაობას კინოში, სოფია ლორენი შეაფასა როგორც დიდად ნიჭიერი კინოსახიობი და მას ფილმზე ერთობლივი მუშაობა შეთავაზება. როგორც გაზეთები იტყობინებიან, ჩაპლინი თვითონ აპირებს სცენარის დაწერას და ფილმის დადგმას.

ფრანგი რეჟისორი ქალის წარმატება

საფრანგეთში ტრადიციული ლუი დელიუკის 1965 წლის პრემია მიენიჭა რეჟისორ ქალს ანიეს ვარდას ფილმისათვის „ბედნიერმბა".

აი რა თქვა ანიეს ვარდამ ბელგიის ჟურნალ „დრაპო რუე მაგაზინის" კორესპონდენტთან საუბარში: „საერთოდ ბედნიერებაზე კინემატოგრაფის ენით თხრობა ძნელია, მით უმეტეს შავ-თეთრ კინოფირზე. ამიტომ ფილმი ფერადია. კინოსურათში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ბავშვებს, ვინაიდან იმ ოჯახში, რომელიც მე მინდა ვაჩვენო, ბედნიერება უბავშვოდ წარმოუდგენელია. მე მიურდა გამეკეთებინა ქრონიკა პარიზის გარეუბნის ხელოსანთა ცხოვრებიდან და ამავე დროს მეზვენებინა, თუ რა ბულთბილი უნდა იყოს ადამიანებთან დამოკიდებულება.

ასია ნორისის მონაწილეობით

იტალიელმა რეჟისორმა კარლო ლიძანიმ გაზეთ „პაეზე სერას" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან სურს ფილმ „მწარე ცხოვრების" შემდეგ დადგას კიდევ ერთი სატირული ფილმი „ეკონომიური სასწაულის" ყოფილ დედაქალაქ მილანზე. ამ ახალი კინოსურათის „ჩერნოსტინას" გმირი იქნება ბიზნესით გატაცებული შუახნის ქალი, რომელიც თვითონაც მდიდრდება და თავის მრავალ მეგობარსაც ამდიდრებს.

„მართალია, „ეკონომიურმა სასწაულმა" ძალა დაკარგა, — თქვა ლიძანიმ, — მაგრამ მისი „გმირები" — ფეოვდომრეწველები, რეკლამის სპეციალისტები და სხვა სპეკულანტი გაიძვერები ხანმოკლე ბუნის ეპოქისა ჯერ კიდევ არიან. ეს ფილმი სწორედ მათ შეეხება".

ჩეულსტინის როლის შესრულება ლიძანიმ შესთავაზა 30-იანი წლების იტალიელ კინოვარსკვლავს ასია ნორისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების ქრონიკა

დასავლეთ საქართველოში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა გურჯაანის რაიონის თოჯინების თეატრის კოლექტივი, რომელმაც ფოთის, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონების ნორჩ მაყურებელს უჩვენა ბ. ნარეკლიშვილის პიესა „ზარმაცი კიკო". სულ გამართა 42 დილისა და 10 საღამოს წარმოდგენა, რომლებსაც 12 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ს. შაქარაშვილი.

მარტყოფელმა სცენისმოყვარეებმა ერთხელ კიდევ გაახარეს თანასოფლელები. ამ დღეებში მათ მაყურებელს უჩვენეს ალ. სუმბათაშვილის დრამა „ლალატი", რომლის დადგმა განახორციელა გ. პატარიძემ.

მ. რამიშვილი.

აბაშის სარაიონო კულტურის სახლში საგასტროლოდ იყო ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი, რომელმაც აქაურ მაყურებლებს გააცნო შ. როყვას „მინდვრის დედოფალი" და ტ. რამიშვილის „ტუმარ-მასპინძლობა".

ვ. ცოფაია.



ეს გზა მაღალმთიან მესტიაში მიდის. შორს მოჩანს ზვავდი უშბა, რომელსაც ღრუბლების ლეჩაქი დაეხურავს.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

კომუნისტი

მატჩეგი და შედეგები

გასულ კვირადღეს გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდების ხუთი მატჩი ფეხბურთში.

მძაფრი ბრძოლით გამორჩეულ ასპარეზობა მინსკში ადგილობრივ დინამოელებსა და კიეველ თანაკუთვნელთა შორის. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც კიეველთა კაპიტანმა ბიბამ გაიტანა შეტოქის კარში.

დონეცკში ერთმანეთს შეხვედნენ ძველი მეტოქეები „მაბტორი", და მოსკოვის „დინამო". მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და სტუმრნიო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

დონის როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა სტუმარი ბაქოს „ნეფტიანიკი" იყო. ბაქოელები ალმავლობით იბრძოდნენ და დაამარცხეს ძლიერი მეტოქე ანგარიშით 1:0.

ოდესის სა საკუთარ მოედანზე შეხვდა გასული წლის პრიზიორს მოსკოვის „ტორპედოს". ანგარიში 22-ე წუთზე სტრელცოვის მიწოდებით ტორპედოელმა შჩერბაკოვმა გახსნა, შემდეგ კი 74-ე წუთზე სერგეევმა პენალტით გაზარდა ანგარიში. გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ბუქ	მეშში პაეერობა ჰქონდათ ადგილობრივ „კრილია სოვეტოვსა" და ოდესის „ჩერნომორეცს". მატჩის შედეგია 2:1 კუთხიშვილთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ძაზაკოვმა, ბოსმა („კრილია სოვეტოვი") და მოსკალენკომ („ჩერნომორეცი").

◆

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მ.)	6	3	2	1	9-3	8
„დინამო" (თბ.)	5	3	2	0	8-4	8
ცსკა	6	2	4	0	6-2	8
„დინამო" (კ.)	6	3	2	1	8-4	8
„შახტიორი" (დ.)	6	3	2	1	9-6	8
„დინამო" (მნ.)	6	3	1	2	7-3	7
„სპარტაკი" (მ.)	6	3	1	2	7-3	7
„კრ. სოვ." (ყუბ.)	4	3	0	1	6-5	6
სკა (როსტ.)	6	1	4	1	5-5	6
„ზენიტი" (ლ.)	6	1	3	2	5-5	5
„ჩერნომორ." (ოდ.)	6	2	1	3	8-8	5
„ნეფტიანიკი" (ბ.)	6	2	1	3	4-6	5
„პახტაკორი" (ტ.)	5	1	2	2	3-6	4
„ლოკომოტივი" (მ.)	4	1	1	2	3-4	3
„დინამო" (მ.)	6	0	3	3	2-6	3
„ტორპედო" (ქ.)	5	1	0	4	1-11	2
სკა (ოდ.)	5	0	1	4	1-11	1

ფინიში ვარშავაში

გასულ კვირადღეს ვარშავაში ფინიში ჰქონდა მშვიდობის ველოსიპედიანს.

უკანასკნელ — მეთხუთმეტე ეტაპზე ვარშავის სტადიონზე ფინიშთან სამი ველომრბოლი მივიდა ერთად. ესენი იყვნენ **საიდხუეინი** (სსრ კავშირი), **სპარტაკი** (ბელგია) და **გაზდა** (პოლონეთი). პირველი ადგილი მოიპოვა ბელგიელმა ველომრბოლმა, საიდხუეინი მეორე იყო. პოლონელი მესამე ადგილზე გამოვიდა. სპბჭოთა ველოსიპედიორები ეტაპებზე ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს **ა. პეტროვმა, ი. მელიხოვმა** და **გ. საიდხუეინმა.** ერთი — **გ. ლებედევმა.**

ველოსიპედოლაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვა სპბჭოთა სპორტსმენმა **გენადი ლებედევმა.**

ბუნდოვრ ჩაოვლაში სპბჭოთა ველოსიპედოლებს ბადალი არ ყოფილა, მათ მეექვსეჯერ მოიპოვეს პირველობა.

◆

სამი შესარჩევი შეხვედრა

გაიმართა მსოფლიოს პირველობის კიევე სამი მატჩი ფეხბურთში. ლაიფციგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა: დამთავრდა ფრედ 1:1. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ხოლუშში ბოლონეთისა და შოტლანდიის გუნდებს შორის, მოხტეკოდეონში ფრუუგველებმა დამარცხეს ვენესუელის გუნდი ანგარიშით 5:0.

კვირას მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური სტადიონის დიდ ასპარეზზე, სადაც სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევ მატჩში ბულგარეთს ბერძენ სპორტსმენებს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ცისფერი ალმი ფრიალებდა. და როცა ალამი დაუშვეს, მატჩის მსაჯმა ფინელმა ერიკ ბეიმარმა ოფიციალურ ოქმში შეიტანა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება ანგარიშით 3:1 (1:0). ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველი ნახიჯი გადადგეს ლონდონისაკენ მიმავალ გზაზე. სადაც მომავალი წლის ზაფხულში შეიკრიბება მსოფლიოს თექვსმეტი უძლიერესი გუნდი. რათა მერვედ ჩაბან ეიუფ რიმეს თასისათვის ბრძოლაში.

მატჩი საბჭოთა ფეხბურთელების სწრაფი შეტევით დაიწყო. საბერძნეთის ნაკრების მცველს ბელიოს პირველ წუთშივე მოუხდა ბურთის გადაადგილება პირითი ხაზს იქით. წითელმაისურებიანმა ხორტსმენებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და დიდი ხნით დასახლდნენ სტუმრების კართან. და აი მე-14 წუთზე ანგარიში გაიხსნა: გალიმზიან პუსაინოვის ზუსტი გადაცემის შემდეგ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბორის კაზაკოვმა ბურთი გაიტანა და გახსნა ჩვენი გუნდისათვის მესამე მსოფლიო ჩემპიონატის ანგარიში.

სტუმრებმა თანდათანობით ალლო აუღეს ჩვენი თავდამსხმელების რამდენადმე სტანდარტულ თამაშს. მათი მცველები ადვილად ხვდებოდნენ საბჭოთა თავდამსხმელების ჩანაფიქრს. თავის მხრივ საბერძნეთის ნაკრები გუნდის ფორვარდებმა, რომლებიც დაცვისთვისაც ზრუნავდნენ, ორი-სამი საგოლო მომენტი შექმნეს შესვენებამდე.

მოედანზე მკვეთრად შეიცვალა სურათი მეორე ტაიმის დასაწყისში. ბერძენი ფეხბურთელები იერიშზე გადავიდნენ. ჩვენს მცველებს დიდი ჯაფა დაადგათ სტუმრების მკვირცხლი თავდამსხმელების წინააღმდეგ ბრძოლაში. და მაინც მე-80 წუთზე ბურთი ბანიკოვის კარში შევარდა: მცველ დაკარეევს შეცდომის შემდეგ საბერძნეთის ნაკრების იერიშების მეთაურმა პაპაიოანუმ ანგარიში გაქვითა.

საკუთარ მოედანზე ფრე ხელს არ აძლევდა საბჭოთა ფეხბურთელებს და ისინი ეკვეთნენ სტუმრების კარს. 71-ე წუთზე ნაკრების კიდევ უფრო სერიოზული მეტოქენი მოელიან წინ. პირველ რიგში უელსის გუნდი, რომელსაც სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მომავალ კვირადღეს შეხვდება ისევ მოსკოვში.

აი როგორი შემადგენლობით თამაშობდნენ მეტოქენი 23. მაისს. სსრ კავშირის ნაკრები: ბანიკოვი, დიკარევი, შეხტერნევი, დანილოვი, ვორონინი, სიეინავა, მეტრეველი, ივანოვი, კაზაკოვი, პუსაინოვი, მესხი; საბერძნეთის ნაკრები: ვალიანოსი, კამარასი, ბელისი, ვასილიუ, პაპუელიდისი, ბალიპულოსი, სარავეკოსი, პოლიკრონიუ, იუტკოსი, ლუკანდისი, პაპაიოანუ.

სამწუხაროდ, მილიონობით ტელემაყურებლისათვის ბევრი რამ გაუგებარი იყო: ეკრანზე ორივე გუნდის ფეხბურთელთა ფორმა ერთნაირად ჩანდა. ასეთი დიდმნიშვნელოვანი შეჯიბრების დროს ესეც უნდა გავითვალისწინოთ...

ა. კაჩალოვი.
საკდენის კორ.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

ოზე ნაკრების კაპიტანმა ვალენტინ ივანოვმა წინ გაიყვანა ჩვენი გუნდი. საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე მანვე გაზარ და ანგარიში.

მაშ ასე, პირველი გამარჯვება არის, მაგრამ ბევრ ნაკრებს კიდევ უფრო სერიოზული მეტოქენი მოელიან წინ. პირველ რიგში უელსის გუნდი, რომელსაც სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მომავალ კვირადღეს შეხვდება ისევ მოსკოვში.

ბ. ი. ჭაჭიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის — შემდეგ 55 წლის ასაკში ქართველ მორფოლოგების რიგებს გამოაკლდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ იაკობის-ძე ტატიშვილი.

მიხეილ ტატიშვილმა მეცნიერული მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. 1930 წელს მეექვსე კურსის სტუდენტი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის პრეპარატორად, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1931 წ.) იმავე კათედრის ასისტენტად. კათედრაზე მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა პრაქტიკულ სამკურნალო საქმიანობასაც, 1933-35 წლებში იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკის, ხოლო 1938-40 წლებში საქართველოს სსრ ჯანსაღმრთელობის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის უროლოგიური კლინიკის ორდინატორი.

1940 წელს მ. ტატიშვილი მივლინებული იყო ქ. ლენინგრადში სამედიცინო აკადემიაში, სადაც ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მუშაობდა შარდსაწვეთების ინერვაციის საკითხებზე. ეს გამოკვლევა შემდეგ მის საკანდიდატო დისერტაციას დაედო საფუძვლად.

მ. ტატიშვილი სამამულო ომის დროს ბელორუსიის მეორე ფრონტის სანიტარულ ნაწილში იყო. 1950 წელს დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში.

მ. ტატიშვილის მეცნიერული შრომების დიდი ნაწილი მიძღვნილია რეტროპერიტონეული სივრცისა და ამ მიდამოს ორგანოების ტოპოგრაფიული ანატომიისადმი. იგი თავის ღრმა ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას გადასცემდა სტუდენტებს.

ოვალწმოსილი მეცნიერი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა როგორც თბილისის ანატომია. ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების ვიმეორის წევრი და ანატომია, ჰისტოლოგია და ემბრიოლოგთა მომავალი VII საკავშირო ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი.

მ. ტატიშვილი დაჯილდოებული იყო სამამულო ომისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მრავალი მედლით.

მ. ტატიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების, მეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი,

თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ბ. ბ. ბ.